ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგი

12

გამოცემის 56-ე წელი, (№ 1550) ივნისი 1979, ფასი 20 კაპიკი

ნახ. მ. აბაშიძისა

— სად მიძვრები, კაცო?!
— გავიგე, ამ მაღაზიაში დახლის ქვეშიდან ვაჭრობენო...

ჩვენი იუბილარი

ცნობილ ქართველ მხატვარს — ნოდარ ვლადიმერის ძე მალაზონიას — დაბადების 50 წლისთავი და შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წელი შეუსრულდა.

1948 წლიდან იგი თანამშრომლობს ჟურნალ „ნიანგში“, ხოლო 1957 წლიდან მისი მთავარი მხატვარი და სარედაქციო კოლეგიის წევრია.

1963 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის საპატიო წოდება. არის სსრ კავშირის მხატვართა და ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

ნოდარ მალაზონია ნიჭიერი პლაკატისტი, კარიკატურისტი, წიგნისა და დაზგური გრაფიკის ოსტატია, ნაყოფიერად მუშაობს მცირე ფორმის არქიტექტურული ანსამბლების გაფორმებაზე.

ყველაზე დიდი გამარჯვება ნოდარ მალაზონიამ მოიპოვა შარშან, სიცილიის ქალაქ კატანიაში, სადაც გაიმართა ტურისტული სარეკლამო პლაკატების XII საერთაშორისო გამოფენა. მასში 28 ქვეყანა და 13 ავიაკომპანია მონაწილეობდა.

ნოდარ მალაზონიას დიდი ოსტატობით შესრულებულმა ხუთივე პლაკატმა დაიმსახურა გამოფენის ორივე უმაღლესი პრიზი — „ოქროს ნემსი“, რომელსაც სპეციალისტების საერთაშორისო ჟიური საუკეთესო ქმნილებებს ანიჭებს, და „იტალიის პრეზიდენტის ვერცხლის მედალი“, რომელიც დამთვალიერებელთა ხმის უმრავლესობით მიეკუთვნება საუკეთესო ექსპონატებს.

ნიანგის რედაქცია, თავის ავტორთა და მრავალრიცხოვან მკითხველთა სახელით, მხურვალედ ულოცავს საყვარელ მხატვარსა და მეგობარს — ძვირფას ნოდარს — საიუბილეო თარიღს, უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს, ბედნიერებასა და ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

სალაღობო სტრიქონები — ნოდარ მალაზონიას

შენი ზეიმი, ძამია, მეც მიხარია ძალიან
და წაიკითხე ეს ლექსი ბოლომდე, — თუკი გცალია!

მამაშენს ჩვენში ნაღდ მხატვრად იცნობენ დიდი ხანია!
მტკიცედ გაჰყევით მამის კვალს შენც და შენი ძმა მამიაც!

გაბადრული ხარ ლამაზი შვილიშვილით და ცოლ-შვილით!
სულ სადღაც რეკავ!.. გარბიხარ. წუთით ვერ გნახე მოცლილი!.

მომხიბვლელ პიროვნებას და ხალას, მრავალმხრივ ხელოვანს
საქვეყნოდ გაღიარებენ! — ნამდვილად სასახელოა!

რომ ნახეს შენნი პლაკატნი, — გამხარებელნი გულისა,
მთელი მსოფლიო დაიძრა საქართველოსკენ ტურისტად!

მაქვს კარგი წინადადება, — უარყონ, არა მგონია, —
კუნძ. სიცილიას დღეიდან დაერქვას „მალაზონია“!

როდესაც ენამახვილობ, ხუმრობ ლაღი და გულწრფელი,
ორივე ხელით გვიჭირავს სიცილისაგან მუცლები!

შენს ფოტოსურათს, ნახატებს გულში იხუტებს ვერია!
შეხვედრას გიწყობს, — პირველი ნაბიჯი გადადგმული აქვს!

ხარ მხურვალე პატრიოტი — სულდიდი და სულნათელი!
გაგვახარე საქართველოს სადიდებელ სურათებით!

გაგიმარჯოს! გამარჯვების გზით იარე! ხატე! წერე!..
საყვარელი მხატვარი ხარ! სიყვარულით გადღეგრძელებ!

ზაურ ბოლქვაძე







— *თქვენ მეუბნებოდით, არა, მასწ. ფესვის ამოღება არ იცის?*

დუბლიორი

ამა, რა სათაკილო დუბლიორობა?! სათადარიგო პარტნიორი კოსმონავტსაც კი ჰყავს! მერე იმ დუბლიორს, როცა თვითონ მოუწევს გაფრენა, სხვა ჰყავს ორეული, ასევე ასაფრენად გამზადებული. რაღა შორს, კოსმოსში, მივდივართ, აგერ, ჩვენი თბილისის „დინამოს" დუბლიორებს რამე დაეწუნებათ?!

მე რომ თვალი დავადგი, სხვა დუბლიორია, სხვა მადლი აქვს ამ დუბლიორს, უფრო სწორად, სხვა მარილი.

ეს ის კაცია, ის უჩინარი მუშაკია, რომელიც შენს მაგიერ ეძებს, შენს მაგიერ პოულობს, შენს მაგიერ... ბოდიში, აქ წერტილი უნდა დავსვა. იმას ვამბობდი, იქ ვიყავი, როცა დუბლიორი პოულობდა რაღაცას. ეს რაღაცა, რა თქმა უნდა, ამერიკა არ არის, მაგრამ არის აზრის პაწაწინა კუნძულები, რომელთა წყლიდან ამოყვანაც შეიძლება და გაშრობა-გამომზეურებაც. შეიძლება, მაგრამ, ნურას უკაცრავად: დაუკრეფავში დუბლიორს არავინ გადაუშვებს!

პოვნის შემდეგ, როგორც წესი, დუბლიორი იხსნება. სამუშაოდან კი არა, უკვე შესრულებული დავალებიდან იხსნება. იგი ახალი, შეუსრულებელი დავალების საიერიშოდ გადადის, გადადის და... ისევ შენს მაგიერ ეძებს, შენს მაგიერ პოულობს...

დუბლიორი ჩუმად არის. ვერც იხმაურებს. სახმაურო, სალაპარაკო, სადიდგულო და საყელყელაო შენ მოგცა! გაიქურდა და ვითომც არაფერი, გიყურებს ახლა, როგორ ჩამოჰკაკლავ მის აზრს, მისეული სიტყვებით როგორ მოიქნევ ფრთასა თუ ენას.

დუბლიორი ჩუმად არის. შენ ხმაურობ იმდენს, უხერხულია, ხმა რომ ამოიღოს! შენს ხმაურს რაღა წამატება უნდა?!

წარმოიდგინე, შენ რომ დაგსვან დუბლიორის ადგილზე და იგივე მოგთხოვონ, რასაც შენ ითხოვ მისგან! წარმოიდგინე?! აბა, ახლა ისიც წარმოიდგინე, რა შეგიძლია შენ?!

წამატებაზე აღარას ვამბობ, სამი სხვადასხვა აზრიდან ერთს, უკეთესს, აარჩევ?!

თუ არ გიკარნახეს, ვერ აარჩევ!

გამართულად დაწერ?!

წერაზე მწყრალადა ხარ!

შენით, დამოუკიდებლად, დასძებნი და მიაკვლევ რამეს?!

მიკვლევას, ცოდნის გარდა, ალღოც უნდა, შენ კი არც ერთი გაქვს და არც მეორე!

მოკლედ, ერთი კი არა, მრავალი მიზეზის გამო შენ შენივე რიგითი ხელქვეითის სამუშაოს ვერ შეასრულებ!

ანგარიშგასაწევი მიზეზი კია, ღმერთმანი! იმდენად ანგარიშგასაწევი, რომ ახლავე, უმტკივნეულოდ, შეგიძლია შენი ადგილი დუბლიორს დაუთმო!

მერწმუნე, ამით ქვეყანა არ დაიქცევა! აშენებით კი, შეიძლება, მართლა აშენდეს!..

ზაზა კაციაშვილი

ქარნახი, ანუ მიქროფორმალიზმი

როცა ბიჭვინთაში ჟურნალისტების პანსიონატსახლკინემატოგრაფის ბარში ხალხი აბუზუნდა, ჟურნალისტთა კავშირის ერთ-ერთმა მდივანმა ბრძანა:

— ამხანაგებო, დღევანდელ პრესკონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა სფეროში მომუშავე უფროსები, რადგანაც ამ პრესკონფერენციაზე პირველი მშენებლობის უფროსი გამოცხადდა, სიტყვასაც მას ვაძლევთ.

მშენებლობის უფროსი: ამხანაგებო, სოფლად და ქალაქად რაც კი მშენებლობები მიმდინარეობს ყველაფერი ჩვენი, მშენებლების მარჯვენით სრულდება. თქვენ როგორც ჟურნალისტებს მაინცდამაინც გაინტერესებთ როგორ ვაშენებთ?

რეპლიკა: ეგ თქვენ უფრო კარგად იცით!

მშენებლობის უფროსი: დიახ, ვაშენებთ, მაგრამ გვაქვს ხარვეზები, დარღვევები, უხარისხობა, მაგრამ თქვენ ამაზე ჩასაფრებულები კი არ უნდა იყოთ, ჩვენ უნდა დაგვეხმაროთ, მათში უნდა აღმოაჩინოთ მოწინავე „პრარაბები".. რა მოხდა, თუ რომელიმე „პრარაბს" ცემენტი შემოეხარჯა?! ეს განა ჩვენ არ ვიცით. მაგრამ რა ხერხებს მივმართოთ, გვითხარით! შეისმინეთ, რომ უბრალო შენიშვნებზეც კი ხელიდან გვეცლებიან... და, ახლა ცემენტის მოპარვაც რომ გავამჟღავნოთ, გესმით, რა მოხდება?!

ჟურნალისტი ხულოდან: შესაშურია ამ კაცის საქმიანობა, გენიალობამდე არის ასული!

სანამ ჟურნალისტები დუმილით აჯილდოებდნენ მშენებლობის უფროსს, სიტყვა განათლების გამგემ აიღო:

— ამხანაგებო, განათლება დიდი ფრონტია, ასობით პედაგოგი იბრძვის მოსწავლეთა ცოდნის სარბიელზე, თუმცა ზოგიერთი რეპეტიტორი ამ ფრონტის ზურგში ეწევა ძირგამომთხრელ მოღვაწეობას, ზოგი კი საცოდავ ძღვენსაც კი ითხოვს, რაც მოსწავლეთა შორის იწვევს დანაშაულობათა ზრდას... კარგია პირუთვნელობა, მაგრამ სულ ამ საკითხზე ხომ არ ვილაპარაკებთ. ნაკლზე წერა ყველას შეუძლია, აბა, ერთხელ მხარში ამოგვიდექით, დაგვისახეთ გზები, რანაირად და როგორ ვებრძოლოთ ამ მავნე გადმონაშთებს, აბა, იფიქრეთ!

ვიდრე ჟურნალისტები „საპატიო" დავალებებზე ფიქრობდნენ, სიტყვა აიღო ვაჭრობის გამგებელმა.

ვაჭრობის გამგებელი: ამხანაგებო, ვაჭრობა უძველესი დარგია, მას ისეთივე გაფრთხილება სჭირდება, როგორც ისტორიულ ძეგლებს საქართველოში, ჟურნალისტები კი მხოლოდ კრიტიკით უყურებთ ამ უძველეს დარგს... რა გახდა, სულ რომ პირზე გაკერიათ: გამყიდველმა ხურდა დააკლო, იმპორტული საქონელი გადამალაო და სხვა. ჩვენ ვიცით ამგვარი გარეწრების ოინები და ყველას რომ ვებრძოლოთ მოხსნით და პრეტენზიული შემოწმებით, ახალბედები ვაჭრობაში აღარ მოვლენ. აბა, ერთი გამყიდველი მაინც წაახალისეთ. მასზე დაწერეთ თბილი, გულისხმიერი წერილი. ამით დანარჩენები დაფიქრდებიან, გახალისდებიან: რა კარგი ყოფილა ქება-დიდებაო და პატიოსნად დაიწყებენ ვაჭრობას!

რის დაიღალნენ ჟურნალისტები დავალებებით და შეკითხვის თავი არავის აღარ ჰქონდა, წესრიგის დამამყარებელმა სიტყვა გაიგზიანა:

წესრიგის დამამყარებელი: მანამ პრესკონფერენცია დაიწყებოდა, მრავალმა ჟურნალისტმა მკითხა: რა მეთოდებით ებრძვით ავტომანქანების გამტაცებლებსო? მე გეტყვით რომ ახლა ჩვენ ხელთ გვაქვს შესანიშნავი მეთოდი, როდესაც მავანის ავტომანქანაში დაუკითხავად ჩაჯდება ავტოგამტაცებელი, მის სახეზე მიესხურება წითელი ფერის სითხე, რის შემდეგ ავტოგამტაცებელი ადვილი ამოსაცნობი და დასაკავებელი ხდება. ამხანაგებო, იმისათვის, რომ არ მოხდეს დანაშაული, ჟურნალისტები თავისი კალმით უნდა გვეხმარებოდნენ, უნდა სახავდნენ დანაშაულთა ბრძოლის ახალ მეთოდებს! აბა, ის კი არაა საქმე, რომ პოსტფაქტუმ წერთ: სად იყვნენ წესრიგის დამცველნი, როცა ამისი და იმისი მანქანა გაიტაცესო. ამხანაგო ჟურნალისტებო, ჩვენ თქვენი დახმარება გვჭირდება, ნუ მიეცემით წერით კმაყოფილებას!

პრესკონფერენციის წამყვანმა სიტყვა არავის არ აცალა და ჟურნალისტებს მოუწოდა:

— ამხანაგებო, თქვენი სახელით ჩვენს სტუმრებს დიდ მადლობას ვუხდი ასეთი საქმიანი შეხვედრის გამო!

ვიღაცა ჟურნალისტმა ყოველ შემთხვევისათვის იკითხა:

— ამხანაგებო, რა არის პრესკონფერენცია?!

სტენოგრაფიული ჩანაწერი ავთანდილ ადისეისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბავშვო თამაშობანი დიდებისათვის

ნახ. ჯ. ლოლუაძი

„ლაბტ“

— „ბატმენ, ბატმენ, შინ!“



„ყველაზე კარგი კაცი“ —
(ბოდიში ამ სიტყვაზე!)
მოდის ისეთი რიხით,
არც გიხეხდავს განზე.

„ყველაზე კარგი კაცი“ —
(სიტყვის პატრონი, ნაღდი!)
ცეცხლი თუ ნახა სადმე,
გარბის იქითკენ ნავთით.

„ყველაზე კარგი კაცი“ —
(რაზე მოიხედის ბოდიშს!)
სხვა რომ თავდარჩინი ივლის,
ის გამართული მოდის.

რაა ამაში ცუდი.
რაა ამაში ყალბი?
„არ უნდა იყოს კარგი?“
არ უნდა იყოს ხარბი?!

ევგენი ბაართაია

ნახ. ვ. ფლიკაისა

— მიდეკა მხოლოდ საღილის შემდეგ!
— ეს ფუთია გვიახლეთ, კალბატონო!

ფრაზები

- თავმოყვარეობა თავისი თავის სიყვარული ეგონა.
- წყლისა და ცოდნის წყურვილ, ღვინით იყოლდა.
- ენას კბილი დააჭირეო და... ენა მეცოდებაო!
- მლექვნელს ეკითხეს: რა აზრისა ხარ შენს თავზეო და... გაიჩინა, ვინ მეკითხებაო.
- მშიშარას ჰკითხეს: შიში რა არისო და... ლომს ეკითხეთ. მაშინ ის მიყურებდაო.
- ოღონდ პატარასნაება მამოვნინეთ და ფასს ორმაგად გადაგიხდიდით, იხვეწებოდა სპეკულანტი.

გივი ზედელაშვილი

ანეგიაზრები

- ბედმა გაუღიმა — ირონიულად.
- პაიკი იყო, მაგრამ გამსვლელი.
- სინდისს ისე უფრთხილდებოდა, სრულებით არ ხმარობდა.
- სოკრატესგან განსხვავებით არ იცოდა, რომ არაფერი არ იცოდა!
- ბუნებით ორგული იყო და ბოროტებას ერთგულად ემსახურებოდა.
- ბევრი იარა თუ ცოტა, მივიდა თავის პირველ ცოლთან.

გიგლა ბაბტაძე

თ. დოსტოევსკი

ოქროსგზაფხული

- ნამდვილი ხელოვნება ყოველთვის თანამედროვეა.
- ადამიანები, რომლებიც გრძელ წერილებს წერენ, ცოტას ფიქრობენ.
- მე იოანნეს ოსტატი არა ვარ, თუმცა ზოგჯერ ესეც მოცდია. ზოგიერთ ადამიანს კი სწორედ მისანანავებელი სბერიდეა ძილისათვის.
- ფილოსოფია პოეზიის უმაღლესი დონეა.
- ხლესტაკოვი თაღლითობდა, თუმცა ეშინოდა, რომ ალრე თუ გვიან კისერში წამოკრავდნენ და გაგიდებდნენ. თანამედროვე ხლესტაკოვს ამისი შიში არა აქვს და ანსოლუტური სიმშვიდით თაღლითობს.
- ამ ქალენაგ ყველაზეფერი რომ გონიერულად ხდებოდეს, მაშინ საერთოდ არაფერი მოხდებოდა.
- დაუჯერეთ გულს ყარნახს.
- წინააღმოა ალდგომა ჩვენზეა დამოკიდებული.
- ხანძრის დროს ყლეტები ეკლესიას კი არა, დღეკანს გადაარჩენენ ხოლმე.
- რუსეთი იყო ჩინოვნიკებისათვის, თუ ჩინოვნიკები იყვნენ რუსეთისათვის?
- ყველა ჩვენი რეფორმა, თავისი არსით, ბიუროკრატთა მომრავლებას უწყობს ხელს.
- ცუდი ნაშაპინა, როდესაც ადამიანებს ალარ ესმით ირონია, ალეგორია, იუმორი.
- ანეგლიზა არასოდეს ეცემა, ეშმაკი კი იმდენად დაბლა დაეცა, რომ ვეღარაროლეს წამოდგება. ადამიანი ეცემა და დგება.
- შეცდომები სიმარილის ჭაობა.
- არსებობს ისეთი რამ, რომელზეც ლაპარაკი კი არა, საერთოდ უმჯობესია მასზე ლაპარაკის დაწყებაზ.
- ყოველ ფანატიკოსს აქვს სუფთა სინდისი.
- სხვათა ვადარჩენენ შენი გადარჩენაა.
- ვინც ძალიან ჭკვიანია, ის საჭმის კაცი არასოდეს იქნება.
- ვისაც ბუმრაბა ესმის, ის ნამდვილი ჭენტლმენია.
- პატიოსან კაცს უფრო მეტი მტერი მყავს, ვიდრე უპატიოსნის.
- დაე, ქურდები ფუოდნ, ოღონდ ნუ იქურდებენ.
- კაცს რომ არაფერი ოიცეს, ეს სიბრიყვის ნაშანია და არა სიბრძნისა.

თარგმნეს ს. რაკინრაა და ზ. ყიფარაანაშვილმა

ნახ. ი. ფლინაშვილისა

ესიტყვიდ

ბრეინ-ინტერვიუ

ამ დღეებში საქართველოს სხვადასხვა რაიონებში პედაგოგიური ბანრების შესაკრებად იმართება „ნიანგის“ მრჩეველთა საკუთარმო საკითხებში არაპედაგოგიურ მასწავლებელთა დოქტორობა. ქალაქი და ეკანლი ხეტრობის ადგილის ბოლოდროინდელ ოფიციალურ ლეგოსაკან კიბეებზე ბელაქა. რეფაქციაში დაბრუნებისთანავე იგი შეხვდა ჯაკეს ეიურანლიტებს და სახელდობლო ინტერვიუ მისცა მათ.

ეიურანლიტები: ბატონო პროფესორო, რას გეუბნოდნენ თქვენი მოგზაურობის მონაწილეები?

დეფიანსაგარ: მოსაბი ერთობ ეკიდურმიანელი ბქონდა — გვაკნობიდი ოიოროა, ეროვნულ ბოერნავე. ასევე ჩამოორეული პედაგოგიური ბანრ. ოიდევან ადამიანს ანრი შოის ბანაბედად სპრიდა. ბომ გაგიგიონათ ალბაბა: „ანრბოემა. ანა ეკოიდეი ვარ, მაკრამ ანრიი ეიდეი“ მაკრამ თუ ანრს ოაკმა კი არა ეიდეაი ჩასდგა, მაშინ კოსმეტიკაბიანი გიჩეა ბელა.

ეიურანლიტები: თუ ჩპოეეი ანრი, რამელიც ანრბოემამდე გაგიგიეეიდათ?

ეფიიანსაგარ: კი, ეს ანრი ანრბოემს. ეი ანა, ბანნიბანსაკენ ეკან ჩამოიტეეიბს. ოღონდ ოგი მიეკონებაბ ეოიენოსაკ ეი კი. მიპოოკა, თან მჭონდა ეაბეიბელი. ეიდეკი ძიბიას ჯბაბ და ოთმ ვიდეოენბეი.

„ეოსმინე, ეოეოკ, ქართველს ეეეოკ, ბა, იეკ ოენაოდ ეებ ბეკილ სოელ, რომ ეეინ ეეოეკ ბეკ ბეკილ ბეკ ბეკ ბეკ

ნახ. ი. ყეინაშვილისა

უსიტყვოდ

ნახ. ვ. კუციასი

უსიტყვოდ

ნახ. დ. თოთიბაძისა

უსიტყვოდ

ნახ. მ. ასლამაზიშვილისა



რაციონალიზატორული წინადადება

დროში ვერ ვეტევი!..

ირიჟრაჟა თ უ ა რ ა, ჩემი მეუღლე რძეზე და დილის პროდუქტებზე გავარდა. ერთი სიტყვით, მე და პაწკო რომ ავდექით, მაგიდაზე საუზმე მზად იყო. (მე დილით საუზმის მომზადებას ვერ ვასწრებ, ეს საქმე ჩემს ქმარს ავალია!). დაახლოებით 8 საათსა და 30 წუთზე მამა და შვილი სკოლაში გავისტუმრე. (ბავშვს სკოლაში დატოვებს, თვითონ სამსახურში წავა. მე დროში ვერ ვეტევი!). სამსახურში წასვლამდე ანჟიკასთან შევიარე, ჩემი მეზობელია და დილაობით კარები მახესავით ღია აქვს. შედი და აარჩიე, სულო და გულო, რაც გინდა! ამჯერად „კოსმეტიკა" გადავიწყვე ჩემთვის. ბავშვისა და ქმრისათვის რამერუმეების ნახვას ვერ ვასწრებ, დრო არ მყოფნის და სალონში გავრბივარ. სალონიდან — სამსახურში!

— ალო! — ვურეკავ ჩემს მეუღლეს და რადგან მე დრო არა მაქვს, ტელეფონში პეტიციას ვუკითხავ: მწვანილი, ხორცი, ყველი, კვერცხი, ცოცხი!..

— ალო! — ვურეკავ ჩემს მეგობარს და ვეხვეწები, ყავაზე მარჩიელთან როგორმე პირველი მომახვედროს, აბა, სადა მაქვს იმის დრო, რიგში ჩავდგე?!

— ალო! — ვურეკავ ჩემი პაწკოს დამრიგებელს და ვაფრთხილებ, ზედმეტი კითხვებით ბავშვს ნერვები არ აუშალოს. გაკვეთილზე ჰაერის გაწმენდის მიზნით ფანჯრები არ გააღოს და ბავშვი არ გამიცივოს!

— ალო! — მირეკავს მეგობარი და დაწყებულ საუბარს მკერავთან ვაგრძელებთ. აბა, სადაა იმდენი დრო, სულ ტელეფონით ვილაპარაკოთ?!

— ალო! ალო! ალო!..

უკვე ხუთი საათია. ბაზრიდან სანოვაგით დატვირთული მეუღლე, პაწკოსთან ერთად, სამსახურში მაკითხავს და სახლში მივყავარ. (ეს მანქანა რომ არა, ტრანსპორტი უზარმაზარ დროს წამართმევდა!) გზაში მეუღლეს ვასწავლი, თუ რა სანელებლებით უნდა შეაზავოს დღევანდელი სადილი, ანდა რამდენი კვერცხი უნდა ტაფამწვარს. აბა, სადაა იმდენი დრო, სადილებიც მე ვაკეთო?!

ბოლოს, არაქათგამოცლილი ვჯდები ტელევიზორის წინ და იმის დროც არა მაქვს, მეუღლეს რომ კეთილად გავუღიმო ათასში ერთხელ ხელის წაშველებისთვის.

ხვალინდელ დღეზე ფიქრით დამძიმებულ თავს ბალიშზე ვდებ და მარტო ძილის დროღა მრჩება.

ნანა ჯაჯანაშვილი

მიბაძეთ ასეთ „მშენებლებს"

სამზადს და საბაზანოს
როცა ბოლომდე დაშლიან,
ორ-სამ თვეს აზრზე ვერ მოხვალ,
საერთოდ, საქმე რაშია!

არ გაგიმხელენ არაფრით
გულს ნადებ დარდს და ხვაშიადს,
სანამდე ყურს არ მოჰკრავენ
დასტა ფულების ნაზ შრიალს.

კაცი არ გკითხავს, რომც მოკვდე,
ან თუ გწყურია, ან გშია,
ან აბაზანა, ან გაზი
რად გაგიგდია კარშია,

ან მტვერი ხომ არ გაწუხებს,
ან — დანგრეული კედლები,
წისქვილში ნამყოფ კაცივით,
დილ-დილით, რატომ თეთრდები!..

ბოლოს, მოვლენ და, იცოცხლე,
სალამს მოგცემენ გულითადს,
ერთ-ერთი წაგიჩურჩულებს:
„პრარაბი ყიდის უნიტაზს!"

ჩამოგიქროლებს მეორე —
კაცი ლალი და ნათელი —
და ისიც წაგილილინებს,
ვის აქვს ჩეხური კაფელი!

ვინ გლდანში წასვლას გასწავლის,
ვინ — დიღომს და ვინ — ვარკეთილს,
გეტყვის, სად უნდა იყიდო
გაჯი, ცემენტი, პარკეტი!..

ზრუნვას არ ვაკლებთ „მშენებლებს",
სულ მუდამ თავზე ვევლებით,
წყალს როცა ვერსად ვშოულობთ,
ცემენტს ვზელთ ცხარე ცრემლებით!..

მთელი დღე დავსდევთ ქორვაჭარ —
— გადამყიდველებს ქალაქში:
ხან მეტლახს ვეძებთ, ხან — კოჭყურს,
ხანაც პარკეტის შალაშინს!

შენს სახსრებს, შესაძლებლობებს,
გულზე არ გაიკარებენ!
რას ერჩი, საქმეს რვადღიანს
რვა თვეში დაგიმთავრებენ!

ჩაგიტარებენ კაპრემონტს
ერთი ვაი და ვიშითა!
(„არ გათეთრდების ყორანი,
რაც უნდა ხეხო ქვიშითა!")

სხვისი ტარით და მასალით
ჰქმნიან „ხელთუქმნელ მშვენებებს"...
რას მოიფიქრებთ უკეთესს? —
მიბაძეთ ასეთ „მშენებლებს!"

რევაზ ოსეფაიშვილი

ნახ. ა. ერაძისა



უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. მ. აბაშიძისა



447
4.VII 79

— ნეტა, თამარ დედოფალს თუ ჰქონდა ამხელა ქორწილი?
— საიდან ეძნეგოდა, მამამისი უბრალო მეფე იყო, კომბინატორი კი არა!

ხუმრობა, თუ თავხედობა?

სილნაღის ავტობუსი დილის 8 საათზე გადის, მე ცენტრალურ ავტოსადგურში (ორთაჭალა) კვირას, 3 ივნისს, 7 საათზე მივედი. მეოთხე სალაროს მივაკითხე, მოლარემ მომყიდა ბილეთი ბალახანში მიმავალ ავტობუსზე (№ 80-52) და თან დასძინა, სწრაფად მიბრძანდით, რვის თხუთმეტ წუთზე გადისო.

— სილნაღის გაივლის? — ვკითხე მე.

— როგორ არა, ბატონო! — მიპასუხა თავაზიანად.

დავუჯერე, ავიღე ბილეთი, მაგრამ, ცოტა არ იყოს, მეძვირა, სილნაღამდე ხომ გაცილებით ნაკლები ღირს, მე კი 2 მანეთი და 50 კაპიკი გადავიხადე.

— რა ღირს, ქალბატონო, ბილეთი სილნაღამდე? — კვლავ ვკითხე მორიდებით.

— ბილეთს ზედ აწერია, ბატონო!—მიპასუხე მკვირცხლად.

ბედს დავმორჩილდი და გავემგზავრე...

უცებ ავტობუსმა წნორისაკენ აიღო გეზი.

— სად მიდიხართ, სილნაღის გზა დაგავიწყდათ? — ვიყვირე მე.

— რის სილნაღი, რა სილნაღი, შეცდომით სხვა ავტობუსში ჩამჯდარხარ! — მითხრა მძღოლმა და ბილეთი შეამოწმა.

— ბილეთი ამ ავტობუსზეა აღებული, მაგრამ სილნაღამდე კი არა, ლაგოდეხამდე. ანაგაში ჩაბრძანდებით და სილნაღში სხვა ავტობუსით წახვალთ! — მირჩია ბოლოს.

მე რომ სილნაღი ლაგოდეხში არ ამრეკია, ძალიან კარგად ვიცი, რადგან ვანო სარაჯიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე მივდიოდი. მაშ, საინტერესოა, მოლარემ იხუმრა, თუ ითავხედა?

ლევან ფრუიძე,

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სოციალურ და კულტურულ ტრადიციათა პრობლემების სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის სწავლული მდივანი.

იცინიან და იცრემლებიან კიდეც...

საბავშვო ბაღი წარმოადგენს სახელმწიფო-სააღმზრდელო დაწესებულებას, რომელშიც ხორციელდება ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდა. აქ გარკვეულ ასაკობრივ პერიოდში მიმდინარეობს ბავშვის აღქმის, მეტყველებისა და აზროვნების განვითარება. ამის თაობაზე მრავალი წიგნი, სახელმძღვანელო და პროგრამაა დასტამბული, მაგრამ პრაქტიკა, ცხოვრების ყოველდღიურობა, ჭეშმარიტება და ბავშვის პატარა გულში ჩახედვა სულ სხვას მიგვანიშნებს ხოლმე, სულ სხვას გვაფიქრებინებს და ჩაგვაფიქრებს კიდეც.

— დედიკო, მეტს აღარ ვიზამ, ყველაფერს დაგიჯერებ, ოღონდ დღეს საბავშვო ბაღში ნუ წამიყვან, — ტირილით ევედრებოდა დედას ცეროდენა. კოპებშეკრულმა მამამ საჩვენებელი თითი დაუქნია, დედამ პაწაწა მკლავში ოქროსბეჭდებიანი თითები წაუჭირა, თბილად შეფუთნილს საყელო აუწია, თავზე ქუდი ჩამოაფხატა და ავტომანქანიდან გადმოიყვანა. იზოლირებულ ბინიდან — იზოლირებულ, გარემოს მოწყვეტილ ბავშვებით სავსე, უჰაერო საბავშვო ბაღში უკრა თავი, ხელები პილატესავით გადაიბანა და სამსახურისაკენ გასწია.

— დედიკო, რა დაგიშავე, რატომ გამწირე ასე, ნუთუ არ გეცოდები, — განაგრძობდა ბავშვი ფიქრს და საბავშვო ბაღის რეჟიმსა და ცხოვრებას ეგუებოდა.

— ბავშვებო! ვისაც გაჯის სუნი გიყვართ და სახლში ხშირად გაქვთ რემონტი, აქეთ ითახში გამოდით, — აცხადებს მასწავლებელი.

— სათამაშოები მანდ ალაგია, ვისაც თამაში გიყვართ, ითამაშეთ, გარეთ გასვლა და ფანჯარაში გახედვა აკრძალულია. — აცხადებს მასწავლებელი.

— ჩვენმა მშენებლებმა თქვენი საბავშვო ბაღი ისე ააშენეს, რომ ეზო და ჰაერი, ღია აივანი და საცურაო აუზი არ გაუთვალისწინებიათ. ამას გარკვეული მოსაზრებაც ჰქონდა. ხომ შეიძლება ბავშვი აუზში დაიხრჩოს ან ეზოში დაიკარგოს, მერე რა ვქნათ, რა წყალში ჩავვარდეთ? თქვენს მშობლებს რა პასუხი გავცეთ? ამიტომაც, ასე იჯექით, არ გაინძრეთ, სანამ დედიკო ან მამიკო არ მოვა, გასაგებია?! — აცხადებს უფროსი მასწავლებელი.

ამ დროს მასწავლებლის მაგიდაზე დადებული წიგნის მეხუთე გვერდზე ამოვიკითხეთ: „...ერთერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ბავშვის გრძნობათა ორგანოების მოქმედების ორგანიზება (დახვეწა-სრულყოფა) და მათი აქტიური მართვის უნარის (სენსორული კულტურის) აღზრდა, საგნის თვისებების მრავალმხრივი ჭვრეტისა და თვალსაზრისის (ფერის, ფორმის, რიცხვის, სივრცითი ნიშნების, სივრცით მიმართულებათა შემჩნევის) გამომუშავება, ლოგიკური აზროვნების (ანალიზის, სინთეზის, აბსტრაქციის, განზოგადების) საწყის ჩვევათა გამომუშავება იმგვარად, რომ ბავშვმა შეძლოს საჭირო შემთხვევაში თვითონ აამოქმედოს იგი“.

ჰოდა, ცუდი საბავშვო ბაღის კარგი აღსაზრდელი თვითონ ამოქმედდა და ერთი წლის შემდეგ გამოსავალიც იპოვა:

— მამიკო! — აღარ ტიროდა ბავშვი.— მე მოვითხოვ გადამიყვანოთ იმ საბავშვო ბაღში, სადაც ჩვენი მეზობელი გია დადის. იქ, თურმე, ყველაფერი ისეა, როგორც აი, იმ წიგნში წერია, ფაცია მასწავლებელს რომ უდევს მაგიდაზე.

— დედიკო! იქ თურმე ბავშვები იცინიან!

ჟანი სიხარულიძე

ნახ. გ. ლომიძისა

იაპონიის ქალაქებში — ხიროსიმაში და ნაგასაკში რადიაციის დონე ახლაც მაღალია. ქალაქები ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაბომბა 34 წლის წინ. ამ ბარბაროსობამ იმსხვერპლა 275 ათასზე მეტი იაპონელი. დღემდე ნაგასაკის ათასობით მცხოვრები, მათი შვილები იტანჯებიან ატომური ბომბის აფეთქების შედეგებისაგან.

Aმერიკული Aჩრდილი

მთავარი რედაქტორი **ზურაბ გემაზაშვილი** სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე) ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), გ. ნიშნიანიძე, გ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე ● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ● სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 22/V 79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VI-79 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 1538 უე 00743 ტირ. 144.000 Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: მ. აბაშიძე, მ. ახლამაზიშვილი, ჭ. დეისაძე, ა. ერაძე, დ. თოთიბაძე, ნ. იოსებიძე, ვ. კუცია, ჯ. ლოლუა, ნ. მალაზონია, ი. ყეინაშვილი.